Пролетарии всех стран, соединяйтесь!

# ახალი შირაქი
# Ахали Шираки

საქართველოს კომუნისტური პარტიის წითელწყაროს რაიკომისა და რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანო.
Орган Цителцкаройского райкома Коммунистической партии Грузии и райсовета депутатов трудящихся.

კვირა
ВОСКРЕСЕНЬЕ
4
მარტი
МАРТА
1956 წ. г.
№ 28 (1.594)
ფასი ЦЕНА 15 კაპ. коп.
გამოცემის მე-19 წელი
Год издания—19-й

## დღეს ნომერში:

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბიურო რუსეთის სფს რესპუბლიკისათვის (1-ლი გვერდი).
— რაისაბჭოს მეხუთე მოწვევის მეექვსე სესია (1-ლი გვერდი).
— კომკავშირული ცხოვრება (მე-2 გვერდი).
— სასკოლო ცხოვრება (მე-3 გვერდი).
— მზადება საგაზაფხულო თესვისათვის (მე-3 გვერდი).
— წიგნი მოწინავე კოლმეურნეობის გამოცდილებაზე (მე-4 გვერდი).
— რაიონის ბიბლიოთეკაში (მე-4 გვერდი).

## სანიმუშოდ მოვამზადოთ ტექნიკა კვადრატულ-ბუდობრივი თესვისათვის

რაიონის საკოლმეურნეო სოფლებში სულ უფრო ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა პირნათლად განაღდებისათვის. სოფლის მეურნეობის მუშაკები მემინდვრეობისა და სატრაქტორო ბრიგადებში დაძაბულად შრომობენ იმისათვის, რომ საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში ჩაატარონ საგაზაფხულო კულტურების თესვა.

რაიონის მტს-ებისა და ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორებმა, რომლებიც ჩაბმულნი იყვნენ პარტიის XX ყრილობის ღირსეულად აღნიშვნის სოციალისტურ შეჯიბრებაში, ვადამდე და ხარისხოვნად დაამთავრეს ტრაქტორების რემონტი.

წელს რაიონის საკოლმეურნეო მინდვრებზე მნიშვნელოვნად ფართოვდება საგაზაფხულო კულტურების, განსაკუთრებით სიმინდის ნათესი ფართობი. გასაგებია, რომ ახლა მექანიზატორთა მთავარი ყურადღება მიმართული უნდა იყოს კვადრატულ-ბუდობრივი სათესების გულმოდგინედ მომზადებისაკენ.

მტს-ების ხელმძღვანელობა თვლის, რომ ისინი მზად არიან საგაზაფხულო თესვისათვის, მაგრამ ეს თვითკმაყოფილებაა, რადგან სინამდვილეში ბევრგან მზად არ არიან საამისოდ. მაგალითად, შირაქის მტს-ის მექანიზატორებმა მართალია მოამზადეს 6 კვადრატულ-ბუდობრივი სათესი, ხოლო 24 მწკრივიანი 7 სათესის კვადრატულ-ბუდობრივ სათესებად გადასაკეთებლად მიიღეს მოწყობილობა, დააყენეს კიდეც, მაგრამ ისინი არ გამოუცდიათ, თუ რამდენად გამოდგებიან თესვისათვის.

გაზაფხული უკვე დადგა. მალე გაჩაღდება თესვა, მაგრამ გამარჯვების მტს-ს ჯერ კიდევ გადასაკეთებელი აქვს 2 ვიწრომწკრივიანი სათესი.

გასული წლის მაგალითებმა გვიჩვენეს, რომ ბევრ სატრაქტორო ბრიგადაში კვადრატულ-ბუდობრივად დასათესად ვერ გამოიყენეს გადაკეთებული სათესები. იმის გამო, რომ თესვამდე არ შეამოწმეს მათი ვარგისიანობა, თესვის დროს მოუხდათ შემჩნეული დეფექტების გამოსწორება, რამაც შეაფერხა თესვა და ამასთან ვერ იქნა მიღებული სწორი კვადრატები.

სატრაქტორო ბრიგადებმა, რომელთაც კვადრატულ-ბუდობრივ თესვაზე მოუხდებათ მუშაობა, გულდასმით უნდა მოამზადონ ტექნიკა ამ პროგრესული წესით შეუფერხებელი თესვისათვის. მათ კიდევ ერთხელ უნდა შეამოწმონ ნიადაგის თესვისწინა დამუშავებისათვის საჭირო მანქანა-იარაღები, კოლმეურნეობის მემინდვრეობის ბრიგადასთან ერთად შეადგინონ გეგმა-გრაფიკი და ორგანიზებულად შეუდგნენ თესვას.

სათოხნი კულტურების, განსაკუთრებით სიმინდისა და მზესუმზირას კვადრატულ-ბუდობრივი თესვის ორგანიზებულად ჩატარების საქმეს სამეურნეო ხელმძღვანელებთან ერთად, სათავეში უნდა ჩაუდგნენ პარტიული ორგანიზაციები, რომელთა ღვიძლი საქმეა ფართოდ დანერგონ მოწინავეთა გამოცდილება, სრულყოფილად გამოიყენონ ტექნიკა.

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო რუსეთის სფს რესპუბლიკისათვის

რესპუბლიკური ორგანიზაციების, საოლქო, სამხარეო პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობის უფრო კონკრეტული ხელმძღვანელობისა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხების უფრო ოპერატიულად გადაჭრის მიზნით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შექმნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო რუსეთის სფს რესპუბლიკისათვის.

რუსეთის სფს რესპუბლიკისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს თავმჯდომარედ დამტკიცებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი და ბიუროს თავმჯდომარის მოადგილედ—საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ნ. ი. ბელიაევი.

რუსეთის სფს რესპუბლიკის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებად დამტკიცებული არიან ამხანაგები: მ. ა. იასნოვი—რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ი. ვ. კაპიტონოვი—საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ფ. რ. კოზლოვი—საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. მ. ჩურაევი—საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ პარტიული ორგანოების განყოფილების გამგე, ვ. პ. მილარშჩიკოვი—საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგე, ა. მ. პუზანოვი — რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ნ. გ. იგნატოვი—საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გორკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ა. პ. კირილენკო — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

## რაისაბჭოს მეხუთე მოწვევის მეექვსე სესია

ამ დღეებში შედგა წითელწყაროს მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს მეხუთე მოწვევის მეექვსე სესია, რომელმაც განიხილა საკითხი — წითელწყაროს რაიონის 1955 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულება და 1956 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

სესიის თავმჯდომარე დეპუტატი აპ. ფიროსმანიშვილი მოხსენებისათვის სიტყვას აძლევს რაისაბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგეს დეპუტატ ალ. ლორთქიფანიძეს.

მომხსენებელი ფართოდ ჩერდება იმ წარმატებებზე, რომლებიც რაიონის მშრომელებმა მოიპოვეს პარტიის XX ყრილობის მუშაობის დღეებში, მოჰყავს ცნობები, თუ რამდენად გაიზარდა რაიონის მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობები, გაფართოვდა განათლების, ჯანმრთელობის და კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი, რომელთა ღონისძიებებზე 1955 წელს დაიხარჯა 8 მილიონ 990 ათასი მანეთი. მაგრამ,—თქვა მომხსენებელმა,—მთელმა რიგმა საბიუჯეტო ორგანიზაციებმა ვერ აითვისეს მათზე დაშვებული სახსრები.

1956 წელს,—განაგრძობს მომხსენებელი, — რაიონის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გათვალისწინებული ასიგნობანი 10 მილიონ 683 ათასი მანეთის რაოდენობით დაიხარჯება. აქედან 80 პროცენტზე მეტი სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებს მოხმარდება.

მომხსენებელი დაწვრილებით ჩერდება გასული წლის ბიუჯეტის შესრულებისა და მისი ხარჯვის საქმეში მთელ რიგ სერიოზულ ნაკლოვანებებზე.

სესიამ მოისმინა აგრეთვე საბიუჯეტო მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ალ. გონაშვილის თანამოხსენება, რის შემდეგ გაიმართა კამათი.

რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგემ ამხ. დ. სვიმონიშვილმა ილაპარაკა რაიონის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის ქსელის გაფართოვებაზე, ამასთან აღნიშნა ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებები.

რაიონის განათლების განყოფილების გამგე დეპუტატი მ. ლაპიაშვილი შეეხო განათლების ღონისძიებებზე გათვალისწინებული თანხების ხარჯვის საქმეს.

დეპუტატმა ნ. მორდვინოვმა წინადადება შეიტანა გამოიყოს სათანადო თანხები სოფელ წითელწყაროს სასმელი წყლის შეკეთებაზე.

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დეპუტატმა დ. ნატროშვილმა ილაპარაკა ბიუჯეტით გათვალისწინებულ სახსრების ხარჯვაში არსებულ დამახინჯებებსა და დარღვევებზე. იგი შეეხო მთელ რიგ სასოფლო საბჭოების, მუდმივი მოქმედი კომისიების უმოქმედობას, დეპუტატების არადამაკმაყოფილებელ მუშაობას.

არხილოს კალოს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ი. მელიქიშვილმა ილაპარაკა საბჭოს მიერ გატარებულ ღონისძიებებზე ბიუჯეტის შესრულების საქმეში.

რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. გ. მდივანი შეეხო საავადმყოფოების და საბავშვო დაწესებულებათა მომარაგების საკითხებს, აგრეთვე რაიონის კოოპერაციის ქსელის მიერ ბრუნვითი გეგმების შესრულების საკითხებს.

წითელწყაროს დაბის საბჭოს თავმჯდომარემ ლ. პოპიაშვილმა სესიის წინაშე დააყენა საკითხი რაიონის ცენტრის კეთილმოწყობისათვის სათანადო თანხების გამოყოფის შესახებ.

სესიამ დაამტკიცა რაიონის 1955 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში და 1956 წლის ბიუჯეტი.

## ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ჩინეთის კომუნისტური პარტიის დელეგაცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე

28 თებერვალს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ჩინეთის კომუნისტური პარტიის დელეგაცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე—შემდეგი შემადგენლობით: დელეგაციის ხელმძღვანელი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მარშალი ამხანაგი ჟუ დე და დელეგაციის წევრები ამხანაგები დენ სიაო პინი, ვან ძია-სიანი, ტანჯენ-ლინი.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და ჩინეთის კომპარტიის დელეგაციის შორის გაიმართა გულითადი, მეგობრული საუბარი.

(საქინფორმი).

## კომკავშირული ცხოვრება

### საქართველოს ალკკ წითელწყაროს რაიკომის პლენუმი

ამ დღეებში შედგა საქართველოს ალკკ წითელწყაროს რაიონული კომიტეტის მეორე პლენუმი, რომელმაც განიხილა საქართველოს კომკავშირის მე-21 ყრილობის შედეგები (მომხსენებელი შ. ცხვარაძე).

კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით პლენუმმა მიიღო ღონისძიება.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე ორგანიზაციული საკითხები.

საქართველოს ალკკ წითელწყაროს რაიკომის მეორე მდივნად პლენუმმა აირჩია ამხანაგი ელენე ესტატეს ასული ქავთარაძე.

### კომკავშირული საბუთების გამოცვლა წარმატებით მიმდინარეობს

გაცხოველებული მუშაობაა გაჩაღებული კომკავშირის წითელწყაროს რაიონულ კომიტეტში. ყოველდღიურად აქ თავს იყრიან რაიონის მოწინავე ახალგაზრდები, კოლმეურნეები, მუშები, მექანიზატორები, მოსწავლეები.

რაიონულმა კომიტეტმა ჯერ კიდევ თებერვლის წინათ დაიწყო კომკავშირული საბუთების გამოცვლა და დღეისათვის 200-მდე კომკავშირელზე გასცა ახალი კომკავშირული ბილეთი.

რა მოკრძალებით, ფაქიზად იკრავენ გულში მუქიწითელი ფერის კომკავშირულ ბილეთებს ახალგაზრდები.

კომკავშირული საბუთების გამოცვლის ორგანიზებულად ჩატარების საქმეში ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს არბოშიკის კალინინის სახელობის, წითელწყაროს მოლოტოვის სახელობის და მირზაანის მე-18 პარტყრილობის სახელობის საკოლმეურნეო კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. კომკავშირული საბუთების შეცვლის პარალელურად მათ მოაგვარეს აღრიცხვის მდგომარეობა.



ახალი კომკავშირული საბუთების ბლანკების შევსებისა და გაცემის საქმეს კარგადართმევენ თავს კომკავშირელი აქტივისტები ე. კალუგინა, მ. ლეკაშვილი და ბ. ჯალიაშვილი, რომლებიც ყოველდღიურად 30-40 კომკავშირული საბუთის შევსებას ასწრებენ.

სურათზე: საქართველოს ალკკ წითელწყაროს რაიკომის მდივანი ამხ. შ. ცხვარაძე კომკავშირული ბილეთის მიღებას ულოცავს მოწინავე ავტომძღოლს გივი გონაშვილს.

ფოტო. ვ. პოჟიდაევისა.

### როცა კომკავშირის კომიტეტი კარგად მუშაობს

გასულ წლებში დიდი ნაკლოვანებები იგრძნობოდა ელდრის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობაში. კომკავშირული კომიტეტი ზერელედ, უფერულად წყვეტდა ახალგაზრდობის წინაშე მდგომ ამოცანებს. კომიტეტის სხდომებზე იშვიათად იხილებოდა ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა ახალგაზრდობის ავანგარდული როლი სამეურნეო საქმიანობაში, კულტმასობრივი მუშაობა და სხვ.

გასულ წელს ელდრელმა კომკავშირელებმა საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე მოურიდებლად ამხილეს კომიტეტის მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი. მათ კომიტეტის ახალი შემადგენლობა აირჩიეს და დაავალეს მას ენერგიულად გაძღოლოდა კომკავშირულ მუშაობას.

კომიტეტის ახალმა შემადგენლობამ (მდივანი ნ. ზიდიროვი) მალე აუღო ალღო ახალგაზრდობის გაზრდილ მოთხოვნილებას, მჭიდროდ შემოიკრიბა თავის გარშემო კომკავშირელთა ფართო აქტივი და ჩააბა ისინი ორგანიზაციულ მუშაობაში. კომკავშირული დავალების განაწილების საქმეში აქ წინათ ფორმალიზმს ჰქონდა ადგილი, კომიტეტი ნაკლებ ყურადღებას უთმობდა კომკავშირელთა მიერ დავალების შესრულებას. სხვების ნაყოფიერი მუშაობის ხარჯზე გამოდიოდნენ ისეთები, რომლებიც აქტივისტთა სიაში ითვლებოდნენ, მაგრამ მიცემულ დავალებას არ ასრულებდნენ. ამ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად შემოღებული იქნა დავალებათა აღრიცხვის რვეული, რომელშიაც აღნიშნავენ, თუ რომელ კომკავშირელს როდის მიეცა დავალება. შესრულდა თუ არა იგი. ასეთი მეთოდი კომიტეტს ეხმარება არა მარტო იმაში, რომ ზუსტად განახორციელოს მიღებული დავალების შესრულება, არამედ იგი თვითეულ კომკავშირელში ნერგავს მიცემული დავალების შესრულებისადმი პასუხისმგებლობის გრძნობას.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული კომკავშირელთა სამეურნეო საქმიანობაში. კომკავშირული ორგანიზაცია დროულად ეხმარება მეურნეობის წინაშე მდგარ ამოცანებს, აქტიურად მონაწილეობს მის გადაჭრაში. ახალგაზრდობის დიდი ნაწილი მეჯინდვრეობაში მუშაობს. საგაზაფხულო სამუშაოების მზადებასთან დაკავშირებით მაღალხარისხოვნად ჩატარებასთან ერთად კომკავშირმა ნაყოფიერი მუშაობა გასწია მინდვრის მავნებლებთან ბრძოლაში.

კომკავშირულმა კომიტეტმა მისაბაძი ინიციატივა გამოიჩინა სკოლისადმი დახმარების საქმეშიც. ახალგაზრდობის თაოსნობით შემოღობილი იქნა 8 წლიანი სკოლის საცდელი ნაკვეთი. მეურნეობის ახალგაზრდები აქტიურ დახმარებას უწევენ მოსწავლეებს პოლიტექნიკური სწავლების ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებაში.

ყოველ თავისუფალ დროს ახალგაზრდა მუშები კულტურულ გართობასა და მხატვრული ლიტერატურის კითხვაში ატარებენ. კომკავშირული კომიტეტის თაოსნობით კლუბთან შექმნილია დრამატული წრე, სიმღერისა და ცეკვის გუნდი, რომლებიც არა მარტო მეურნეობის ტერიტორიაზე მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეებს უწევენ კულტურულ მომსახურებას, არამედ საინტერესო კონცერტებს მართავენ აგრეთვე მეცხოველეობის ბრიგადებშიც.

მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების მუშაობას ნაყოფიერად ხელმძღვანელობენ ამ საქმის მცოდნე ახალგაზრდები გივი ავალიანი და ივანე ბერძენიშვილი.

ახლა, როცა მთელი ჩვენი ახალგაზრდობა გაცხოველებით ემზადება სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის, მეურნეობის ახალგაზრდებმა კომკავშირული კომიტეტის ინიციატივით ჩამოაყალიბეს სხვადასხვა სახის სპორტული სექციები, რომლებიც ახლა წარმატებით ემზადებიან სპარტაკიადის შესახვედრად.

კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობაში მოპოვებული წარმატებები იმის შედეგია, რომ მეურნეობის დირექცია და პარტიული ორგანიზაცია ქმედით დახმარებას უწევენ კომკავშირს, ხელს უწყობენ ახალგაზრდობის შემოქმედებითს აქტივობას, მათს ინიციატივას.

**შ. ცხვარაძე.**

### სემინარი პროპაგანდისტულ საკითხებზე

2 მარტს საქართველოს კ პ წითელწყაროს პარტიულ ბიბლიოთეკაში ჩატარდა რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების, პროპაგანდისტების და კონსულტანტების სემინარი.

სემინარზე სკკპ XX ყრილობის მუშაობის შესახებ თავისი შთაბეჭდილებით გამოვიდა ყრილობის დელეგატი ამხ. ნ. ყოჩიაშვილი. პროპაგანდისტებმა და კონსულტანტებმა მრავალი საინტერესო შეკითხვა მისცეს ყრილობის დელეგატს.

შემდეგ სემინარზე მოსმენილ იქნა მოხსენებები: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ მრეწველობის დარგში დასახული ამოცანები და ადგილობრივი მრეწველობის [illegible] მავლობის ღონისძიებები" (მომხსენებელი გ. გოძიაშვილი), „სკკპ XX ყრილობის მიერ დასმული ამოცანები მარცვლეულის მოსავლიანობის გადიდებისათვის და ჩვენს რაიონში ამ დარგში გატარებული ღონისძიებები" (მომხსენებელი ი. საბაშვილი), „მეცხოველეობის დარგში პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანები და ჩვენს რაიონში გასატარებელი ღონისძიებები ჯაფარიძის კოლმეურნეობის მაჩვენებლების მაგალითზე" (მომხსენებელი გ. დალაქიშვილი), „როგორ შევისწავლოთ პარტიის XX ყრილობის მასალები" (მომხსენებელი მ. საბაშვილი).

## სასკოლო ცხოვრება

### მოსწავლეთა თეორიული ცოდნა დავუკავშიროთ პრაქტიკას

ზოგად საგანმანათლებლო სკოლებში ფიზიკის სწავლება მოსწავლეებს ბუნების მოვლენებისა და წარმოების ძირითადი პროცესების სწორი ორიენტირების საშუალებას აძლევს. იგი ემსახურება კომუნისტური აღზრდის საერთო მიზნებს და უზრუნველყოფს მოსწავლეების მომზადებას პრაქტიკული საქმიანობისათვის.

პოლიტექნიკური სწავლების საქმეში მოსწავლეებს დიდ დახმარებას უწევს ახალი საგნების—სოფლის მეურნეობისა და მანქანათმცოდნეობის პრაქტიკუმების სწავლება და ფიზიკის წრეში მუშაობა. მოსწავლეები ფიზიკის წრეში აწარმოებენ დაკვირვებებს, ცდებს, აზრთა გაცვლა-გამოცვლას, კითხულობენ მოხსენებებს. მაგალითად, „სითბო და მუშაობა", „ლომონოსოვის ცხოვრება და მოღვაწეობა" და სხვ.

მოსწავლეთა შორის სკოლაში მიღებული ცოდნის განმტკიცების მიზნით ვაწყობთ ექსკურსიებს განვლილ მასალასთან დაკავშირებით. ასე, მაგალითად, X კლასში გადაცემათა სახეების გავლის დროს მოვაწყეთ ექსკურსია კოლმეურნეობის სახელოსნოში, ხოლო XI კლასში ელექტრო-მაგნიტური რხევებისა და ტალღების შესწავლისას მოსწავლეებმა დაათვალიერეს სოფლის რადიო კვანძი, სადაც საქმიანი საუბარი ჩაუტარა რადიოტექნიკოსმა ო. პაპიაშვილმა.

მაგრამ სწავლებაში ჯერ კიდევ ხელს გვიშლის სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების და სათანადო სახელოსნოს უქონლობა.

პოლიტექნიკური სწავლების შემდგომი გაუმჯობესებისათვის საჭიროა სკოლის დირექციამ უზრუნველყოს ფიზიკის ლაბორატორიის აღჭურვა საჭირო ხელსაწყო-იარაღებით, ხოლო შირაქის მტს-მა დროულად უნდა გადმოგვცეს ხმარებიდან გამოსული მანქანა-იარაღები.

**ნ. ციცქიშვილი,**
ზემო ქედის საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი.



სურათზე: ზემო ქედის საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი ნ. ციცქიშვილი XI კლასის მოსწავლეებს აცნობს რადიო მიმღების მუშაობას.

მზადება საგაზაფხულო თესვისათვის

# გავადიდოთ სიმინდის ჰიბრიდის წარმოება

სიმინდის ჰიბრიდული თესლი ამინდისა და ნიადაგის ყველა პირობებში უფრო მეტ მოსავალს იძლევა, ვიდრე მისი მშობლები. ამიტომ იყო, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა თავის დადგენილებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ სიმინდის მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთი ძლიერი საშუალებაა ჰიბრიდული თესლის თესვა. მაშასადამე ჩვენ იმდაგვარად უნდა მოვაწყოთ ჰიბრიდის წარმოება, რომ უახლოეს 2-3 წლიწადში გადავიდეთ სიმინდის მარტო ჰიბრიდული თესლის თესვაზე.

პარტიის XX ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა კვლავ დიდი ყურადღება დაუთმო სიმინდის. ჰიბრიდული თესლის წარმოების გადიდების საკითხს მეექვსე ხუთწლედში.

წლების მანძილზე ცდებით დადასტურდა, რომ ჩვენი რაიონის ნიადაგებზე ჰიბრიდული ჯიშების თესვისას საგრძნობლად გაიზარდა მოსავლიანობა. მაგალითად, წითელწყაროს სახელმწიფო ჯიშთა გამოცდის ნაკვეთი, რომელიც 1950 წლიდან სოფელ ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ნაკვეთზე ცდის სიმინდის ჰიბრიდების დიდ რაოდენობას, 1953 წლიდან გადავიდა საუკეთესო ჰიბრიდების გამოყვანაზე. ცდის შედეგად დარაიონებული იქნა ჰიბრიდი „კოლექტიური", რომელიც ჩვენს პირობებში ჰექტარზე 3-8 ცენტნერით მეტ მოსავალს იძლევა, ვიდრე „მინეზოტა-13" ჯიშის სიმინდი. მაგალითად, 1952 წელს „მინეზოტა-13"-მა თვითეულ ჰექტარზე 16,7 ცენტნერი მარცვალი მოგვცა, „კოლექტიურის" ჰიბრიდმა კი 21,5 ცენტნერი. გვალვიან წელიწადს, 1954 წელს, „მინეზოტა-13"-ით ნათესის თვითეულ ჰექტარზე 7,9, ხოლო „კოლექტიურით" ნათესიდან კი 16,3 ცენტნერი მარცვალი მოვიყვანეთ, 1955 წელს „კოლექტიურმა" დიდ ფართობზე თვითეულ ჰექტარიდან 35,7 ცენტნერი მარცვალი მოგვცა.

ჩვენს პირობებში კიდევ უფრო უკეთეს შედეგს იძლევა საკავშირო ინსტიტუტის მიერ გამოყვანილი ჰიბრიდი—„42", რომელმაც გასულ წელს თვითეულ ჰექტარზე 40,6 ცენტნერი მარცვალი მოგვცა.

ჰიბრიდული თესლი შეიძლება მიღებული იქნეს მხოლოდ მამრობითი მცენარეების მტვერით მდედრობითი მცენარის ყვავილების განაყოფიერებულ ტაროზე. ამიტომ ჰიბრიდის მისაღებად ღებულობენ მშობლიურ ფორმებს, რომლებიც დარაიონებულია და გამოცდილია სასელექციო სადგურის მიერ.

უნდა გვახსოვდეს, რომ ჰიბრიდული თესლის მხოლოდ პირველი თაობა იძლევა მაღალ მოსავალს. ამიტომ ჰიბრიდები ყოველწლიურად უნდა გამოვიყვანოთ იმ რაოდენობით, რაც საკმარისი იქნება კოლმეურნეობებისათვის მთლიანი ფართობის დასათესად.

ჩვენს რაიონში დარაიონებულია სიმინდის ჰიბრიდი „კოლექტიური", რომელიც მიიღება „მინეზოტა—13" ჯიშის სიმინდთან მამრობითი მცენარის „გლ—380"-ს შეჯვარების გზით.

ჰიბრიდის დასათესად ნიადაგი შემოდგომით უნდა მოვხნათ მძრალად 20-22 სანტიმეტრის სიღრმეზე, ხოლო ადრე გაზაფხულზე დავფარცხოთ, შემდეგ, საჭიროა, ვაწარმოოთ კულტივაცია ფარცხვის თანმიყოლებით საჭიროების მიხედვით, ხოლო თესვის წინ უნდა ჩავატაროთ ნიადაგის კულტივაცია მარცვლის ჩათესვის სიღრმეზე და დავფარცხოთ. კარგ შედეგს იძლევა აგრეთვე თესვის წინ ნიადაგში სასუქების შეტანა მიღებული დოზით. ნაკვეთი უნდა იყოს სწორი და სხვა ჯიშების სიმინდის ნათესებიდან დაცილებული არანაკლებ 200 მეტრით. რაც უფრო მეტი იქნება ეს მანძილი, მით უფრო მაღალხარისხოვან და სუფთა ჰიბრიდებს მივიღებთ. თესვა უთუოდ კვადრატულ-ბუდობრივი წესით უნდა ვაწარმოოთ.

ჰიბრიდის მისაღებად სიმინდის თესვას თუ ვაწარმოებთ „სშ—6 ა" მარკის კვადრატულ-ბუდობრივ სათესით, მაშინ სათესის პირველ ყუთში (სათესის მიმართულებით დგომის დროს მარცხნივ) ჩაიყრება მამრობითი ფორმის სიმინდი „გლ—380", მეორე და მესამე ყუთებში—მდედრობითი ფორმის სიმინდი „მინეზოტა"—13", შემდეგ მე-4 და მე-5 ყუთებში ჩავყრით „გლ—380"-ის თესლს, მეექვსეში კი მდედრობითი ფორმის თესლს და თესვას ვაწარმოებთ ჩვეულებრივი წესით.

ჰიბრიდის მისაღებად თესვის დროს საჭიროა შევარჩიოთ სათანადო ზომის დისკები, რადგანაც მამრობითი და მდედრობითი თესლის სიდიდე ერთნაირი არ იქნება. თუ თესვას ვაწარმოებთ ტრაქტორის 24 მწკრივიანი სათესით, რომელიც გადაკეთებულია კვადრატულ-ბუდობრივი თესვისათვის 6 გამომთესით, რომელთა შორის მანძილი 69 სანტიმეტრია, მაშინ სათესის ყუთს გავტიხრავთ 4 ნაწილად, რომ ერთი მეორეში არ აგვერიოს მდედრობითი და მამრობითი ფორმის თესლი. ყუთებში თესლის ჩაყრა სწარმოებს იმავე წესით, რომელიც ზემოთ იყო ნაჩვენები.

თესვის შემდეგ მივიღებთ მწკრივთა ასეთ სურათს:

1 რიგი მამრობითი, მე-2-3 რიგი მდედრობითი, მე-4-5 რიგი მამრობითი და მე-6 რიგი მდედრობითი.

იმისათვის, რომ გავარკვიოთ, თუ რომელი მწკრივია მდედრობითი და რომელია მამრობითი, საჭიროა თესვის დროს სიმინდის მამრობით თესლში შევურიოთ 0,5-1 პროცენტი მზესუმზირას თესლი. შემდეგ, მცენარის გამოხშირვის დროს, 15-20 მეტრის მანძილზე ვტოვებთ მზესუმზირას.

ჰიბრიდული თესლის მისაღები ნაკვეთები უნდა მივამაგროთ მემინდვრეობის რგოლებზე 1-1,5 ჰექტარის რაოდენობით, რომელსაც კოლმეურნეები ამუშავებენ აგრონომის ზედამხედველობით.

ყველა სამუშაოს აგროტექნიკურ ვადებში ჩატარებასთან ერთად, მთავარი ყურადღება უნდა მივაქციოთ მდედრობითი მწკრივის სიმინდებიდან ქეჩეჩოს (სიმინდის თავთავი) ამოძრობას, რომელიც უნდა მოვახდინოთ ქეჩეჩოს ამოსვლისთანავე ისე, რომ არ დავაზიანოთ უკანასკნელი ფოთოლი. ამ ოპერაციის მოსახდენად ყოველდღიურად, დილით ადრე უნდა დავიაროთ მდედრობითი მცენარეების რიგებში და ამოვაცალოთ ამოსული ქეჩეჩოები.

ჰიბრიდის მიღება დიდადაა დამოკიდებული ქეჩეჩოების სწორად და თავის დროზე შეცლაზე. ამ სამუშაოს დაგვიანებით ჩატარებისას ჰიბრიდს ვერ მივიღებთ, ამიტომ მისი ამოცლა უნდა ვაწარმოოთ სისტემატურად 7-12 დღის განმავლობაში.

მდედრობითი რიგების მცენარეებს დამატებითი ბარტყები ან ღეროები დროულად უნდა მოვაცილოთ, ხოლო მამრობითი რიგის მცენარეებზე დამატებითი ბარტყები უნდა დავტოვოთ დამატებით მტვერის მისაღებად. კარგი იქნება თუ ჩავატარებთ ხელოვნურ დამტვერვას მამრობითი მცენარეების მტვერით 2-3 ჯერ მაინც.

მოსავალი სრულ სიმწიფეში უნდა ავიღოთ. პირველ რიგში მდედრობითი მწკრივის ტაროები და გამოვიტანოთ ცალკე შესანახად, რომელიც **სრული ფორმის ჰიბრიდია**, ხოლო შემდეგ მამრობითი მცენარის ტაროებს ვიღებთ და ვინახავთ ცალკე, **მომავალი წლის ჰიბრიდის მისაღებად.**

ჰიბრიდის გამოსაყვან ნაკვეთზე ჩატარებული ყველა სახის სამუშაო უნდა მიიღოს აგრონომმა.

ჰიბრიდული თესლის მიღების დროს აპრობაციას არ ვატარებთ, მაგრამ მცენარის ყვავილობის პერიოდში უნდა მოვახდინოთ ნათესების პერიოდული შემოწმება. შემოწმებისას თუ აღმოჩნდება, რომ მდედრობითი რიგის მცენარეების 5 პროცენტს აქვს ქეჩეჩო, ასეთი ნათესი უნდა გამოიწუნოს, რადგან მისგან მიღებული ჰიბრიდი არ გამოდგება.

ყველა ზემოხსენებული ღონისძიებების ზუსტად და დროულად ჩატარებისას ჩვენ შევძლებთ ყოველწლიურად ვაწარმოოთ ჰიბრიდული თესლის საკმაო რაოდენობა.

**ი. საბაშვილი,**
წითელწყაროს სახელმწიფო ჯიშთა გამოცდის ნაკვეთის მთავარი აგრონომი.



Самаркандская область. В зерносовхозе „Галля-Арал" организованно проходит массовый сев зерновых культур. Коллектив совхоза, соревнуясь в честь XX съезда КПСС, принял обязательство в кратчайшие сроки завершить выполнение плана посевных работ.

На снимке: перекрестный сев пшеницы на полях 4-го отделения совхоза. На переднем плане—агрегат передового тракториста А. В. Большакова. Он за день засевает 95—100 гектаров.

Фото А. Кузьменко.

Фотохроника ТАСС

არბოშიკის კოლმეურნეობაში

## ახალი ვალდებულებები

არბოშიკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მევენახეები, რომლებმაც წარმატებით დაამთავრეს ვენახის საზამთრო სამუშაოები, აღფრთოვანებულნი შეხვდნენ მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს.

მევენახეობის ბრიგადების ბრიგადირებმა და მერგოლეებმა: ტ. ბაღაშვილმა, ნიკა, გიორგი და თამარ ალადაშვილებმა, ი. კოტაშვილმა და სხვებმა პარტიის ზრუნვის საპასუხოდ ვალდებულება იკისრეს წელს 20 ჰექტარზე გააშენონ ახალი ვენახი, საუკეთესოდ დაამუშაონ იგი და მიმდინარე წელს სრულმოსავლიანი ვენახის თვითეული ჰექტარიდან საშუალოდ 130 ცენტნერი ყურძენი მოიყვანონ.

არბოშიკელი მევენახეები წარმატებით იბრძვიან ნაკისრი ვალდებულებების განაღდებისათვის.

**მ. ჭრელაშვილი,**
კოლმეურნეობის აგრონომი.

## ლიკვიდირებულია ბერწიანობა და სიკვდილიანობა

არბოშიკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის მუშაკები მომზადებული შეხვდნენ დოლს. მათ ცხვრის ნერბვის დროს გაითვალისწინეს ბერწიანობის თავიდან აცილება, გეგმით გათვალისწინებულ დედაცხვრების რაოდენობაზე ნორმალურად ჩაატარეს ხელოვნური ნერბვა, რამაც კარგი შედეგი გამოიღო.

დოლი გაცხოველდა. მეცხვარეობის № 14 ბრიგადაში (ბრიგადირი ი. სეხნიაშვილი) უკვე 660 ბატკანი მიიღეს, №6 ბრიგადაში—555, ხოლო მეთერთმეტე ბრიგადაში 473 დედაცხვრიდან მიიღეს და შეინარჩუნეს 475 ბატკანი.

აღნიშნული ბრიგადების მუშაკების დაუზარელი შრომის შედეგად მთლიანად ლიკვიდირებულია ბერწიანობა და ნამატის სიკვდილი.

მეცხვარეობის ფერმის ყველა მუშაკი ენერგიულად იბრძვის მიღებული ნამატის მთლიანად შენარჩუნებისათვის.

**მ. თევდორაშვილი.**

## ნაკლოვანებანი, რომლებიც დროულად უნდა აღმოიფხვრას

ჩვენს კოლმეურნეობაში პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და იანვრის პლენუმების ისტორიული დადგენილებების შესაბამისად მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული საზოგადოებრივი მეცხოველეობის სულადობრივი ზრდის, ჯიშობრივი გაუმჯობესებისა და პროდუქტიულობის ამაღლებისათვის ბრძოლის საქმეში.

გასულ წელს სერიოზული ღონისძიებანი გატარდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის, ერთი-ორად ამაღლდა წველადობა, ხორცის საერთო წარმოებაში საგრძნობლად გაიზარდა ღორის ხორცის ხვედრითი წონა, მარტო მეცხოველეობიდან შემოსავალმა 1.886.730 მანეთს მიაღწია.

მაგრამ წველადობაში გაცილებით მეტი მაჩვენებლები გვექნებოდა სერიოზულ ნაკლოვანებებსაც რომ არ ჰქონოდა ადგილი.

მაგალითად, იმის გამო, რომ შირაქის მტს-ი ნაკლებ დახმარებას გვიწევს, ძროხის კულტურულ ბინებში ჯერ კიდევ ვერ დავნერგეთ შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია, არ არის მოწყობილი კიდული გზები, ავტომატური საწყურებლები, განათება, კონცენტრული საკვების გადამმუშავებელი მანქანები და სხვა.

განვიცდით აგრეთვე მინერალური საკვების ნაკლებობას, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მოზარდი პირუტყვის გამოზრდასა და განვითარებაზე.

აღნიშნული ნაკლოვანებანი სასწრაფოდ უნდა აღმოიფხვრას.

**ნ. კედელაშვილი,**
ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსი.

## წიგნი მოწინავე კოლმეურნეობის გამოცდილებაზე

ჩვენს რესპუბლიკაში ცოტა როდია ისეთი კოლმეურნეობები, რომლებიც ყოველწლიურად დიდ სამეურნეო წარმატებებს აღწევენ. ამ მიღწევათა ფართო პოპულარიზაციას შეუძლია გამოაძებნინოს ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს გამოუყენებელი რეზერვები და მოწინავეთა მუშაობის გამოცდილების დანერგვით ჩააყენოს ისინი მოწინავეთა რიგებში.

სწორედ ამიტომ, დიდ ინტერესს იწვევს „სახელგამის" მიერ პ. ელენტის რედაქციით 1955 წელს გამოცემული დოცენტ დიმიტრი დარახველიძის წიგნი „სახელოვანი გზა", რომელიც მოგვითხრობს ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობაზე. ამ კოლმეურნეობის სამეურნეო და კულტურული მიღწევები კარგად არის ცნობილი ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. ის ჯერ კიდევ 1939 წელს გახდა მილიონერი, მაგრამ ნატანებელთათვის ეს საზღვარი როდი იყო. ახლა აქ ცალკეული ბრიგადებიც კი მილიონერია.

წიგნის პირველ თავში მოცემულია ნატანების წარსული, ნატანებელთა მძიმე ხვედრი წარსულში, მეორე თავში კი ნაჩვენებია, თუ როგორ შეცვალა სოფლის სახე და ნატანებელთა ყოფა-ცხოვრება საბჭოთა ხელისუფლებამ, კოლექტიურმა შრომამ, როგორ განმტკიცდა კოლმეურნეობა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი მზრუნველობის შედეგად.

ყველაზე შესანიშნავი აქ ის არის,—მიგვითითებს ავტორი,—რომ კოლექტიურმა შრომამ წარმოშვა მაღალი მორალის მატარებელი სოფლის მოწინავე ადამიანები—უხვი მოსავლის სახელოვანი ოსტატები.

აქ სოციალისტური შრომის 21 გმირი და 200-მდე ორდენოსანია. მათ შორის არიან ჩაის უხვი მოსავლის ცნობილი ოსტატი, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი დარეჯან ტაკიძე და სიმინდის სარეკორდო მოსავლის ოსტატი, სოციალისტური შრომის გმირი გერონტი ჯაბუა.

წიგნის მესამე თავში დახასიათებულია საზოგადოებრივი მეურნეობის ძირითადი დარგები, მოცემულია ჩაისა და ციტრუსოვანი კულტურების განვითარების ზოგადი მიმოხილვა საქართველოში და კერძოდ ნატანებში.

მეოთხე თავში ნაჩვენებია კოლმეურნეობის ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების გზა. ვრცლად არის აღწერილი კოლმეურნეობის მიერ მიღწეული სამეურნეო-კულტურული წარმატებები მისი არსებობის 25 წლის მანძილზე.

მეხუთე თავი მიძღვნილი აქვს კოლმეურნეობის ხელმძღვანელ კადრებს. მასში დამაჯერებლად არის ნაჩვენები კოლმეურნეობის თავმჯდომარის, როგორც საკოლმეურნეო წარმოების ცენტრალური ფიგურის, მისი მოადგილისა და ბრიგადირების როლი.

შემდეგ განზოგადოებულია, თუ როგორ არის დაყენებული შრომის ორგანიზაცია და ანაზღაურება. კოლმეურნეობაში მოსპობილია გაუპიროვნება შრომაში და გათანაბრება შრომის ანაზღაურებაში.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს წიგნის მეშვიდე თავი, რომელშიც აღწერილია უხვი მოსავლის ოსტატების მუშაობის მეთოდები, რომელთა შესახებ მოგვითხრობენ ჩაისა და სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატები, სოციალისტური შრომის გმირები დ. ტაკიძე, ლ. ხურციძე და გ. ჯაბუა.

საყურადღებოა ისიც, რომ წიგნში კარგად არის ნაჩვენები პარტიის რაიონული კომიტეტის ხელმძღვანელობა კოლმეურნეობისადმი, მკაფიოდაა ნაჩვენები, თუ როგორ ეხმარება პარტიის რაიონული კომიტეტი საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციას მუშაობაში.

წიგნის მომდევნო თავებში გაშუქებულია საკითხები: არტელის საქმეების მართვა, კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის მუშაობის გამოცდილება, ნატანებელთა შეძლებული და კულტურული ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლება, კომუნისტებისა და კომკავშირელების ავანგარდული როლი საკოლმეურნეო წარმოებაში და სხვ.

ბოლო თავში ნაჩვენებია ნატანებელ კოლმეურნეთა ღრმა რწმენა ხვალინდელი დღისადმი და ის უდიდესი შთამაგონებელი მაგალითი, რასაც ჩვენი ქვეყნის მოწინავე კოლმეურნეობები ახდენენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელ გლეხობაზე.

ამ სასარგებლო წიგნს სიამოვნებით გაეცნობიან ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკები.

სასურველია რომ წითელწყაროს რაიონის სახელმოხვეჭილ კოლმეურნეობების შესახებაც დაწერილიყო ასეთი მონოგრაფიული ხასიათის წიგნი, რომელიც ღრმად გააშუქებდა მათს მდიდარ გამოცდილებებს მარცვლეულის უხვი მოსავლის მიღებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის ბრძოლის საქმეში.

**ქ. კობახიძე,**
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

## რაიონულ ბიბლიოთეკაში

კარგად მუშაობს რაიონული ბიბლიოთეკა (გამგე ე. ნატროშვილი). აქ წიგნის პროპაგანდა, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა დამაკმაყოფილებლადაა დაყენებული, ბიბლიოთეკას თავის გარშემო შემოკრებილი ჰყავს მკითხველთა ფართო აქტივი, სულ 1.500 მკითხველი.

ბიბლიოთეკა მდიდარია მხატვრული, პოლიტიკური, სასოფლო-სამეურნეო, მეცნიერულ-პოპულარული, საბავშვო და სხვა სახის ლიტერატურით, რომლის საერთო რიცხვი 25.360-ზე მეტს შეადგენს, გამოწერილია 29 სახის ჟურნალ-გაზეთები.

აქ ყოველდღე თავს იყრიან რაიონის წარმოება-დაწესებულებების მუშაკები, დიასახლისები, კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებს, იწერენ წიგნებს. ამათ რიცხვს ეკუთვნის 65 წლის მოხუცი მ. ჯალიაშვილი, რომელსაც მიმდინარე წელში წაკითხული აქვს 15-მდე მხატვრული და პოლიტიკური ხასიათის წიგნები, მათ შორის ა. წერეთლის და ა. ყაზბეგის ტომები.

მკითხველ მ. ჯალიაშვილს როდი ჩამორჩება 77 წლის მოხუცი ვ. გიორგობიანი, რომელიც მხატვრული ლიტერატურის გარდა, უდიდეს ყურადღებას უთმობს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების შესწავლას. აქტიური მკითხველია აგრეთვე რუსული საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე ბელა დანაჩევი.

ბიბლიოთეკაში გამოდის კედლის გაზეთი „კომუნიზმის მწვერვალებისაკენ" (რედაქტორი ა. ჯალალოვი), ეწყობა წიგნის ხმამაღალი კითხვა, მხატვრული საღამოები. მაგალითად, ამ დღეებში ჩატარდა მკითხველთა კონფერენცია, რომელსაც 45 კაცი ესწრებოდა.

კონფერენციაზე სტალინის სახე შ. დადიანის „ნაპერწკლიდან" წაიკითხა ლ. ბასილაშვილმა. ჩატარებული არის აგრეთვე ხმამაღალი კითხვა-საუბრები მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებზე.

გამოჩენილი დიდი რუსი მეცნიერის მიჩურინის დაბადებიდან 100 წლისთავთან და ქართველი პოეტის ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების 40 წლისთავთან დაკავშირებით მოეწყო გამოფენები.

ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობამ უნდა შეინარჩუნოს არსებული მიღწევები, რაშიც მათ მეტი დახმარება უნდა გაუწიოს რაიონის კულტურის განყოფილებამ.

**თ. გოგიაშვილი.**

ექიმის საუბარი

## რა უნდა ვიცოდეთ ნაწლავთა პარაზიტული ჭიების შესახებ

ადამიანის ორგანოებსა და ქსოვილებში პარაზიტობენ სხვადასხვა სახის ჭიები, რომლებიც თავისი ცხოველმოქმედებით იწვევენ ქსოვილების, ორგანოების და ხშირად მთელი ორგანიზმის დაავადებას.

მრგვალი პარაზიტული ჭიებიდან ჩვენს რაიონში ხშირად გვხვდება: ენტერობიოზი, ტრიხოცეფალიოზი, განსაკუთრებით კი ასკარიდები.

ასკარიდები პარაზიტობენ ადამიანის წვრილ ნაწლავებში. ისინი წარმოადგენენ საკმაოდ მოზრდილ ჭიებს, მათი სიგრძე 25-40 სანტიმეტრს აღწევს.

ადამიანი ასკარიდებით დაავადდება მაშინ, თუ მან გადაყლაპა ასეთის მომწიფებული კვერცხი. [illegible]

[illegible]

...რაზიტული ჭიებით, თუ მან საკვებად იხმარა ცუდად გადამუშავებული დაავადებული ხორცი.

ნაწლავთა პარაზიტული ჭიები იწვევენ ადამიანის შრომის უნარის დაქვეითებას, სისუსტეს, უმადობას, [illegible]

[illegible]

**ექიმი შ. [illegible]**

რედაქტორი [illegible]

[illegible]

საინტერესო თემაზე

## ყინულმჭრელი ატომური დანადგარით

[illegible]

(„[illegible]")

წითელწყაროს რაიონის გაზეთი „ახალი შირაქი" [illegible].—Цители-Цкаро типография газеты „Ахали Шираки"

ტირაჟი—Тираж 2.700